

## რამდენიმე დღე პეტროგრადში

დაეშვა თოვლი. ფრინველი ლიბრი,  
ბოლოდაწყობილ ფრთების ჭადარით  
და ჩონჩხებიან ხეების ჯიბრი  
დაფარა ნაბდით ნაყაჩადარით.

რა სულიერიც არის ეს ქარი,  
ვიცით, მოგვწყინდა ბაიათები! .  
გარეთ ატლასთა არტყია ჯარი,  
შიგნით შავი აქვს გულის ნადები.

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა –  
თან მეფიცება მძობას და დობას  
და ყორანივით უცნობის სკრიპკა  
ჩემს მხართან ტირის უამინდობას.

კარგია ძილი რკინაზე მძიმე!  
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა!  
კარგია თოვლი, კარგია წვიმა,  
მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა=

და, როგორც ყორანს დააქვს ბრჭყალებით  
ჰაერში ნაზი ხელები ქალის,  
სიმები სწეწენ შეუწყალებით  
ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.

წყებათ დაღეწილ ზარების დარდი,  
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,  
მე, ნოემბერი და პეტროგრადი  
ასეთი კარგი და უდაბური.

და მარტობამ სხვა ქადაგებით  
გაიგო ჩემი: ვარ გამარცული!  
ამ უცხო ნისლის ბარიკადები  
მე მიყვარს, როგორც ჩემი წარსული. –

ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს,  
სად უნდა ნახო აქ თავის თავი=  
ვიღაცა დაჰქრის და ცეცხლს აჩაღებს,  
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,  
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!  
ვიყავი ჩემთვის, ახლა წერტილი:  
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა,  
ბრმების თუნუქებს ტეხენ ლოთები,  
ლაფრაში ლოცვა ვერ დავამთავრე  
და კალუგისკენ გზებს ველოდები.

თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი სტირის!  
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,  
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,  
ანდა რევოლვერს დავიცლი გულში!